არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

№071/01 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 3 ნაწილის, მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“, „ვ“ და „ლ“ პუნქტისა და მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და შეფასების წესი დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების ასლი გამოქვეყნდეს საჯაროდ.
3. ეს ბრძანება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებლად გადაეგზავნოთ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს/პერსონალს.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და შეფასების წესი შემუშავებულია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის დადგენილების „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების და შეფასების წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და შეფასების წესს და პროცედურებს.

3. აღნიშნული წესის რეგულირების სფეროს წარმოადგენს უნივერსიტეტის მიზნების მისაღწევად საჭირო ყველა ღონისძიება, მათ შორის, მიზნების განსაზღვრა, ბიუჯეტის შემუშავება და შესრულება, შეთანხმებები უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ, მენეჯერული ანგარიშვალდებულების განსაზღვრა, შიდა და გარე ანგარიშგება და მონიტორინგი.

4. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა წარმოადგენს უნივერსიტეტის შიდა ფინანსური მართვისა და კონტროლის ნაწილს და მისი მიზანია უნივერსიტეტის მიერ მისი მისიის, განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება.

5. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემას მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ ოპერაციებსა და ქმედებებს, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიზნების მიღწევას მოცემული ბიუჯეტისა და დროის ფარგლებში, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის პრინციპებს.

მუხლი 2 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მიზანი

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მიზანია უნივერსიტეტის ფინანსების მართვის ხარისხის გაუმჯობესება.

2. უნივერსიტეტის ყველა იერარქიულ საფეხურზე მდგომი ხელმძღვანელი პასუხისმგებელია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის შესაბამისი მექანიზმების დანერგვაზე. რისთვისაც უზრუნველყოს, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისობა არსებულ ბიუჯეტთან და რომ ეს მიზნები იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში გაწერილი.

3. უნივერსიტეტის რექტორი განსაზღვრავს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიზნებს და შესრულების შეფასების ინდიკატორებს. პროგრამის მიზნების, ბიუჯეტის მაჩვენებლებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა მოიცავს ოთხწლიან პერიოდს. მისი გადახედვა უნდა მოხდეს ყოველწლიურად, ფაქტობრივი შესრულების გათვალისწინებით.

მუხლი 3. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ამოცანები

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ამოცანებია: უნივერსიტეტის სპეციფიკისა და საქმიანობის არეალის შესატყვისი ფინანსური რისკების იდენტიფიცირება-გამოვლენა რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს უნივერსიტეტის სასწავლო საგანმანათლებლო მიზნების მიღწევაზე.

2. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა, ფინანსური რისკის მართვის, შიდა კონტროლისა და პროცედურების გაუმჯობესება.

მუხლი 4. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მიზანი

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა წარმოადგენს უნივერსიტეტის შიდა ფინანსური კონტროლის შემადგენელ ნაწილს და მისი მიზანია უნივერსიტეტის მიერ მიღებული გეგმების ეფექტიანად და პროდუქტიულად შესრულება, უნივერსიტეტის მართვის, მათ შორის ფინანსების მართვის ხარისხის გაუმჯობესება.

2. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის მიზანია გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის ფინანსური საქმიანობის მართვის ხარისხი, მოცემული პერიოდის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმალური დაგეგმვის, უნივერსიტეტის მისიით და საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით.

3. კონტროლის ღონისძიებები ყალიბდება ფინასური რისკის ოპტიმალურ დონემდე შესამცირებლად, უნივერსიტეტის მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად და ეფუძნება ფინანსური აღრიცხვის, ანალიზისა და ანგარიშგების შესაბამის ინსტრუქციებსა და პროცედურებს.

4. ფინანსური კონტროლი გულისხმობს უნივერსიტეტში არსებული ფინანსური კონტროლის მექანიზმების, მათ შორის, ფინანსური რეგულაციების გაუმჯობესებას და მენეჯერული ანგარიშვალდებულების დანერგვას. ასევე, უნივერსიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის ხარისხისა და ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ამაღლებას, რომლებიც ხელს შეუწყობს რესურსების ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას.

5. უნივერსიტეტის რექტორი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის გრძელვადიანი მიზნების, სტრატეგიისა და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას. რექტორი დასახული მიზნების მისაღწევად განსაზღვრავს სათანადო და ადეკვატურ პროგრამებს, ხოლო ფინანსური უზრუნველყოფის ღონისძიებების შემუშავების ფუნქციის დელეგირებას ახდენს უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურზე.

მუხლი 5. ფინანსური მართვისა და კონტროლის კომპონენტები

1. უნივერსიტეტის ფინანსური კონტროლი გულისხმობს არსებული ფინანსური კონტროლის მექანიზმების, მათ შორის, ფინანსური რეგულაციების გაუმჯობესებას და მენეჯერული ანგარიშვალდებულების დანერგვას.

2. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის პირველი ეტაპის მიზანია, უფლებამოსილების დელეგირების გზით მოხდეს შესაბამისი მენეჯერების ანგარიშვალდებულებების ზრდა და უნივერსიტეტის სახსრების მართვისა და კონტროლის საკითხებში ჩართულობა, ასევე, სხვადასხვა ხელმძღვანელი პირების ფინანსური ცნობიერების ამაღლება, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამის შედეგად, გაუმჯობესდება ბიუჯეტის დაგეგმვის ხარისხი და ფინანსური კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს რესურსების ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას.

3. უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა არ გულისხმობს მხოლოდ ფინანსურ კონტროლს. იგი მოიცავს კონტროლის ყველა ასპექტს, რომელიც აუცილებელია უნივერსიტეტის ხელმძღვანელ(ებ)ისთვის, რათა მიიღოს გონივრული გადაწყვეტილებები, რომ მიზნები არსებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, მოცემული დროისა და ბიუჯეტის ფარგლებში ეფექტიანად მიღწევადია, ასევე განსაზღვრული შესრულების სტანდარტების შესაბამისად.

4. უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ეფუძნება ფინანსური კონტროლის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

ა) კონტროლის გარემო, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურას, მაღალი რგოლის მენეჯმენტის დამოკიდებულებას უნივერსიტეტის მთლიანობასა და ეთიკურ ღირებულებებთან მიმართებით;

ბ) უნივერსიტეტის მაღალი რგოლის მენეჯმენტის მხრიდან განხორციელებულ საზედამხედველო ღონისძიებებს (ანგარიშვალდებულების სისტემას), უფლებამოსილების დელეგირების ხარისხს, შესრულების კრიტერიუმებს და ზოგადად დაწესებულების სამეწარმეო კულტურას;

გ) ფინანსური რისკის მართვა – რისკის იმ დონის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც რისკი გათვალისწინებულია და შეფასებულია უნივერსიტეტის მიზნების მიღწევის პროცესში;

დ) კონტროლის ღონისძიებები, რომელიც მოიცავს ფინანსურ კონტროლს და მონიტორინგის იმ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციონალური საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას;

ე) კონტროლის ღონისძიებები მოიცავს ასევე ტექნოლოგიურ კონტროლს, რაც გულისხმობს ავტორიზაციას (დელეგირება), ასევე დადასტურებას/დამოწმებას და სხვა ღონისძიებებს, რაც მიმართულია სახელმწიფოს მიერ მონიჭებული უფლებამოსილების (უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულების) რესურსების გამოყენების კანონიერების უზრუნველყოფისაკენ;

ვ) უნივერსიტეტში უმნიშვნელოვანესია ინფორმაციის მიმოსვლის გამჭვირვალობა. უნდა არსებობდეს ეფექტური კომუნიკაცია როგორც ზევიდან ქვევით, ასევე ქვევიდან ზევით მენეჯერულ ჯაჭვში;

ზ) ფინანსური საქმიანობის შემოსავლებისა და ხარჯების ფაქტობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი და შეფასება, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად მმართველობითი კონტროლის ღონისძიებების ეფექტურობასა და ეფექტიანობას. მონიტორინგის პროცესის ძირითადი ელემენტია შიდა აუდიტი.

5. უნივერსიტეტის ფინანსური მართვა მოიცავს:

ა) ხარჯვითი ნაწილის იდენტიფიცირებას გარკვეულ შემოსულობებთან და, შესაბამისად, ახორციელებს არსებული რესურსების ხარჯვას;

ბ) ფინანსურ ანალიზს, რომელიც მოიცავს რესურსების განაწილების ფინანსური შედეგების ანალიზს, რაც მიმართულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფის, ალტერნატიული შემოსავლებისა და იაფი დანახარჯების გამოვლენისა და ანალიზისკენ;

გ) სტრატეგიულ ფინანსურ მართვას, რომელიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან და გამოიყენება გრძელვადიანი ბიუჯეტირების დროს.

მუხლი 6. ფინანსური კონტროლის ჩამოყალიბების და განვითარების პროცედურა

1. უნივერსიტეტის რექტორი არის მმართველი სუბიექტი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობის არეალიდან გამომდინარე საბიუჯეტო დაგეგმვის თაობაზე.

2. უნივერსიტეტის რექტორი ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის პერსონალს, ადგენს ფინანსური კონტროლის სისტემის ფარგლებში არსებული პასუხისმგებლობების განაწილებას, სადაც განსაზღვრულია, სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის მუხლების, სამეცნიერო და სხვა ცალკეული კვლევითი, უწყვეტი განათლების პროგრამების და სხვა შესაბამისი ანგარიშვალდებული პერსონალის უფლებამოსილება, პასუხისმგებლობა და ანგარიშგების კომპეტენცია.

3. ფინანსური მართვისა და კონტროლის გამართულად ფუნქციონირებისათვის უნივერსიტეტში იქმნება შესაბამისი ანგარიშვალდებულების სისტემა, რაც გულისხმობს იმას, რომ უნივერსიტეტის ყველა იერარქიულ საფეხურზე მდგომი ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მოცემული ბიუჯეტის ფარგლებში, არსებული კანონმდებლობისა და რეგულაციების დაცვით უნივერსიტეტის მისიით და ამოცანებით განსაზღვრული მიზნების მიღწევაზე.

4. ფინანსურად პასუხისმგებელი პირი ანგარიშვალდებულია ზემდგომი ხელმძღვანელის წინაშე დაკისრებული პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების ფარგლებში.

5. ფინანსური ანგარიშგების ღონისძიებების თითოეული დონე განსაზღვრული უნდა იყოს ზემდგომი ხელმძღვანელის მიერ, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების ეტაპზე იგი უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ ინფორმაციას:

ა) ყოველკვარტალური ფინანსური ანგარიშგება შემოსავლებისა და ხარჯების, მათ შორის გადასახადების შესახებ, სადაც ასახული იქნება ანგარიშგების პერიოდისთვის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ პარამეტრებთან მიმართება და ცდომილების შემთხვევაში განმარტებული/ახსნილი იქნება მისი მიზეზები და მათი მოსალოდნელი გავლენა დაგეგმილი მიზნების მიღწევაზე, ასევე მათი აღმოფხვრის გზები;

ბ) ყოველკვარტალური ანგარიშგება რისკების იდენტიფიკაციისა და მართვის შესახებ, რომლისთვისაც პასუხისმგებელია თითოეული პროგრამის/ქვეპროგრამის ხელმძღვანელი.

6. უნივერსიტეტი აყალიბებს საკუთარ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემას, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს რამდენიმე მნიშნელოვან პრინციპს:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება ხდება განსაზღვრული პოლიტიკისა და სტანდარტების შესაბამისად;

ბ) ბიუჯეტის პროექტის მომზადება უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების, ფაკულტეტ(ებ)ის დეკანის წარდგინების საფუძველზე;

გ) ბიუჯეტის ხარჯვა ხორციელდება ბიუჯეტის განმკარგავის - ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის და შესაბამისი საოპერაციო პერსონალის უშუალო ჩართულობით, საკითხის ან/და პროგრამის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად;

დ) პროგრამის შედეგიანობის და ბიუჯეტის მაჩვენებლების კონტროლი უნდა განხორციელდეს ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის მიერ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

7. ბიუჯეტის მაჩვენებლებისა და პროგრამის მიზნების შესაძლო შეუსრულებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მიზეზების იდენტიფიცირება და ანალიზი. ასევე უნივერსიტეტის რექტორის ინფორმირება ბიუჯეტის შესაძლო შეუსრულებლობის პარამეტრების, მიზეზების და მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

8. უნივერსიტეტის რექტორი განსაზღრავს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიზნებს და შესრულების შეფასების ინდიკატორებს. პროგრამის მიზნების, ბიუჯეტის მაჩვენებლებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა უნდა მოიცავდეს ოთხწლიან პერიოდს. მისი გადახედვა უნდა მოხდეს ყოველწლიურად, ფაქტობრივი შესრულების გათვალისწინებით.

მუხლი 7. ანგარიში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისა და განვითარების შესახებ

1. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფარგლებში ანგარიშგების ჩამოყალიბების მიზანია უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდება როგორც ცალკეული პროგრამის ბიუჯეტის შესრულებისა და პროგრამის შედეგიანობის, ისე უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის დანერგვის და არსებული მდგომარეობის შესახებ. ასევე განხორციელებული ქმედებების ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა განხილვა;

2. ფინანსურ ანგარიშს ამზადებს უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური და წარუდგენს რექტორს.

3. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისა და განვითარების შესახებ წლიური ანგარიში, ფინანსური კონტროლის ეტაპის დანერგვის ფარგლებში უნდა მოიცავდეს შესაბამის ინფორმაციას.

4. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ანგარიშგების პროცესი ხორციელდება ორ დონეზე:

ა) ქვედა დონეზე – ბიუჯეტის განმკარგავი - ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის ბუღალტერი ანგარიშს წარუდგენს იმავე სამსახურის კურატორს;

ბ) ზედა დონეზე – ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის კურატორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახდენს მისთვის წარმოდგენილი ანგარიშების კონსოლიდაციას, რომელსაც უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც, თავის მხრივ, ახდენს მისთვის გაგზავნილი ანგარიშების კონსოლიდაციას და წარდგენას უნივერსიტეტის დამფუძნებლისთვის განსახილველად და დასამტკიცებლად. ზედა დონეზე ანგარიში თავისი შინაარსით უფრო ანალიტიკურია და ნაკლებად დეტალიზებული, ვიდრე ქვედა დონის ანგარიში.

5. უნივერსიტეტში ანგარიშგება ხორციელდება შემდეგი პერიოდულობით:

ა) კვარტალურად;

ბ) წლიურად.

6. კვარტალური ანგარიშის მიზანია უნივერსიტეტის რექტორის ინფორმირებულობა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო საწავლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების შედეგებისა და ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შესახებ. იგი წარმოადგენს შიდა მოხმარების დოკუმენტს და მოიცავს ინფორმაციას:

ა) ინფორმაციას დასახული პროგრამის მიზნების ეფექტურად განხორციელებისთვის დაგეგმილი და ფაქტობრივი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც შესაბამისობაშია უნივერსიტეტის ბიუჯეტის სტრატეგიასა და პოლიტიკასთან;

ბ) ინფორმაციას მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მიმდინარე და დაგეგმილი ფინანსური მაჩვენებლების შედარებას;

გ) ანგარიშგების თარიღისთვის ბიუჯეტის შესრულების შედეგების შედარებას პროგრამის ინდიკატორებთან;

დ) წლის ბოლოსათვის მოსალოდნელი ფინანსური და შედეგიანობის მაჩვენებლების განახლებულ პროგნოზს ადმინისტრაციული და სხვა ხარჯებისა და შემოსავლებისათვის;

ე) ფინანსურ და ოპერაციულ საქმიანობებში ბიუჯეტთან მიმართებით გამოვლენილი არსებითი სხვაობების დასაბუთებას;

ვ) დაგეგმილი ბიუჯეტის გადაცდომების შემთხვევაში მაკორექტირებელი ღონისძიებების გეგმის წარდგენას;

ზ) ინფორმაციას მოულოდნელი/დაუგეგმავი მოვლენების შესახებ, რომლებმაც გავლენა მოახდინეს დაგეგმილი ფინანსური მაჩვენებლების შესრულებაზე;

თ) ახალი საბიუჯეტო პოლიტიკისა და წინადადებების შეთავაზებას, ფინანსური მაჩვენებლების ანალიზს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ი) უნივერსიტეტის საფინანსო საოპერაციო საქმიანობის ეფექტიანობის, ფინანსური/ოპერაციული აღრიცხვის სისტემის შესახებ, მათ შორის, ადმინისტრაციული და სხვა საქმიანობით გამოწვეული დანაკარგების, მატერიალური და არამატერიალური აქტივების არასათანადო გამოყენების, დატაცების და გაფლანგვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კ) საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი ფინანსური კონტროლის არსებითი სისუსტეების, მათ მიერ გამოწვეული შედეგებისა და ამ სისუსტეების აღმოფხვრისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ;

ლ) აუდიტორულ ანგარიშებში ასახული რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული და შესასრულებელი ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 11. აუდიტი

1. აუდიტი არის უნივერსიტეტის კონტროლის ერთ-ერთი კომპონენტის – მონიტორინგისა და შეფასების ნაწილი, რომელიც იძლევა დამოუკიდებელ, ობიექტურ და გონივრულ რწმუნებას ხელმძღვანელობისთვის ფინანსური კონტროლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების თაობაზე.

2. აუდიტორულ შეფასებას, უნივერსიტეტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ, ახორციელებს მოწვეული აუდიტორული ფირმა/აუდიტორი, წინასწარი ხელშეკრულების საფუძველზე